29 აგვისტო 2018 წ.
№ 08-18/29

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ მაია ბერაძეს

№ 11313
"05" 09 2018
2 ფ.

ს კ რ ი ნ ი ნ გ ი ს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო მაია,

გაცნობებთ რომ **შპს „ბილდერ გრუპ"-ს** აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში დაგეგმილი გვაქვს ინერტული მასალების გადამამუშავებელი დანადგარის განთავსება.

ინერტული მასალების დამამზადებელი დანადგარის წარმადობა 35-40 m^3 იქნება საათში, აქ მოხდება ბალასტის გადამუშავება სამ ფრაქციად. ბალასტის შეძენა არსებული წესით მოხდება მდ აჭარისწყლის ხეობიდან. ინერტული მასალების გდამუშავება განხორციელდება სველი მეთოდით. წელიწადში სავარაუდოდ გადამუშავებული იქნება 100-120 ათ m^3 ბალასტი. დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულატიური ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. მშენებლობისას ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა და მისი დასაწყობება მოხდება არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით. წყალმომარაგების წყაროდ დაგეგმილია გამოყენებული იქნეს მდინარის წყალი, რაზედაც მიღებული იქნება ზედაპირილი წყლის აღებაზე ტექნიკური რეგლამენტის პირობები. ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე ობიექტზე ნარჩენების წარმოქმნა მოხდება მხოლოდ მექანიკურ სალექარში ბალასტის რეცხვისას შეწონილი ნაწილაკების სახით, რომლის გატანა და დასწყობება მოხდება არსებული წესების დაცვით. ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე რისკები არ არსებობს, რადგანაც შერჩეული ტერიტორია დასახლებული ადგილიდან დაშორებულია 1000 მ-ით. ასევე ტექნოლოგიიდან გამომდინარე არ არსებობს ჰაერის დაბინძურების რისკები, რადგანაც საწარმოში დაინერგება მავნე ნივთიერებების ემისიებზე კონტროლის სისტემა და საჭიროების შემთხვევაში ჩატარდება დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებები. რაც შეეხება საწარმოო ჩამდინარე წყლებს, ისინი დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით და მათი გაწმენდა გაუვნებელყოფის მიზნით ადგილზე მოეწყობა მექანიკური ტიპის სალექარი, სადაც მოხდება ამ წყლების მექანიკური წმენდა და გაწმენდის შემდეგ მოხდება მათი ჩაშვება მდ

აჭარისწყალში. დაგეგმილი საქმიანობის მიმდებარედ დაცული ტერიტორიები და მჭიდროდ დასახლებული ადგილები არ არსებობს, ასევე არ არსებობს კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურული ლანდშაფტების ობიექტები. არ არსებობს ის ტერიტორიები სადაც კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოს დაცვის ნორმები დარღვეულია ან არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი ამგვარი ნორმების დარღვევისა.

ზემოქმედების ეფექტიანი შემცირების შესაძლებლობებიდან მნიშვნელოვანია ის რომ საწარმოში მისი ოპერირებისას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე მკაცრი კონტროლი იქნება დაწესებული და საჭიროების შემთხვევაში (მავნე ნივთიერებათა ემისიების გაფრქვევისა და წყალში ჩაშვების, ასევე ხმაურის ნორმაზე გადამეტებისას) კომპანია ღებულობს ვალდებულებას განახორციელოს დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

ობიექტი იმუშავებს წელიწადში 240 დღეს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით. დასაქმდება 12 ადამიანი.

გთხოვთ გვაცნობოთ წერილობითად დაგეგმილი საქმიანობასთან დაკავშირებით საქართველოს კანონის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად რა გარემოსდაცვითი ვალდებულება გაგვაჩნია.

პატივისცემით:

დირექტორი: ასლან მიქელაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბილდერ გრუპ BUILDER GROUP 445538428 GEORGIA. LTD